№ 138

ხუთშაბათი, 10 ივლისი 1897 წ.

ბაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 138

ხუთშაბათი, 10 ივლისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედისას,

კნეინა მეტია მიქელაძისას

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა),

სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ მიცვალებულის დასაფლავებაზედ შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზედ

სოფ. წილორში

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღე. (3—6.—2)

## საკომერციო კურსები

ქალებისა დავაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო აკნტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—4)

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 51. გამგეობა ეწევა ყოველგვარს ხარჯს იმ ხარჯთ-აღრიცხვიდგან, რომელსაც წარმომადგენელთა კრება ამტკიცებს ყოველ წლივ. კრებას ეძლევა უფლება აღნიშნოს აგრეთვე ის თანხა, რომელიც საჭიროების დროს გამგეობას შეუძლიან მოიხმაროს, გარეშე ხარჯთ-აღრიცხვისა; ყოველივე ასეთი ხარჯი მახლობელს წარმომადგენელთა კრებას უნდა წარუდგინოს განსახილველად.

§ 52 გამგეობა იმის ცდაში უნდა იყოს, რომ საალებ მიცემო თანხა მუდამ ხმარებაში იყოს; ამ აზრით, გამგეობის წევრნი მუდამ თვალს ადევნებენ ვაჭრობასა და თუ რომელიმე საქონელი არა აქვთ და მოთხოვნილება-კი არის, მაშინვე თავისუფალს საალებ-მიცემო თანხას ამ საგნის შეძენას ახმარებენ; ხოლო თუ იმ ხანად, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, აღნიშნულის საქონლის სყიდვა სარგებლობას არ მოუტანს საზოგადოებას, მაშინ თავისუფალი თანხა ან სარგებლიან ქაღალდებად უნდა იქმნას გადაცვლილი და ან, წარმომადგენელთა კრების სურვილისა თანახმად, რომელსამე ადგილობრივს საკრედიტო დაწესებულებაში იქმნას შეტანილი მიმდინარე ანგარიშით.

§ 53. საზოგადოების სახელოსნოებიდგანა და საწყობებიდგან საქონელი ერთ და იმავე ფასად უნდა იყიდებოდეს, რასაც გამგეობა მოვალეა თვალ-ყური ადევნოს. სავაჭრო საქონლის დადგენილ ფასად გასასყიდად გამგეობა პრეისკურანტს ადგენს, რომელსაც გამგეობის ყოველმა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს და საზოგადოების სახელოსნოებში გამოსაჩენს ადგილას გამოჰკიდოს. თუ რომ საქონელი სხვა და სხვა ღირსებისაა და ამ გვარის მრავალფეროვნებისა გამო უხერხულია ფასები პრეის-კურანტში ჩაიწეროს, მაშინ ფასი საგნებისა თვით საქონელზედ უნდა აღინიშნოს.

§ 54. საზოგადოების საქმეთა შესახებ მიწერ-მოწერა გამგეობის სახელით სწარმოებს და ყოველსავე ქაღალდს ან გამგეობის თავმჯდომარისა და ან რომელისამე ერთის წევრის ხელი უნდა ეწეროს.

§ 55. ვექსილებს, რწმუნების ქაღალდებს, ხელშეკრულობათ, პირობის ქაღალდებს, ნასყიდობისა და სხვა აქტებს, აგრეთვე მოთხოვნილებას საზოგადოების მხრივ, რომ კუთვნილი ფული საკრედიტო დაწესებულებიდგან უკანვე იქმნას გამოტანილი, უთუოდ გამგეობის წევრთა ნახევარმა მაინც მოაწეროს ხოლმე ხელი. ფოსტიდამ ფულისა, ამანათებისა და დოკუმენტების მისაღებად საკმაოა მხოლოდ გამგეობის ერთმა წევრმა მოაწეროს ხელი და საზოგადოების ბეჭედი დაჰკრას.

§ 56. გამგეობა მუდამ იკრიბება, როდესაც კი ამას საჭიროება მოითხოვს, [illegible] ერთხელ გამგეობის კრება აუცილებელია. [illegible] გამგეობის წევრნი ერთმანეთთან შეთანხმებით ჰნიშნენ და კრების დღეს საზოგადოების წევრთ აცნობებენ. წარმომადგენელთა კრების ნებართვით ისე წევრთაც შეუძლიანთ გამგეობის წევრთა სხდომებს დაესწრნენ ხოლმე, ხოლო საქმის გარდაწყვეტის დროს ხმის უფლება არა აქვთ. გამგეობის გარდაწყვეტილებას კანონიერად ჩასათვლელად უსათუოდ საჭიროა წევრთა უმეტესობა დაესწროს.

გამგეობის სხდომებზედ გარჩეულ საქმის შესახებ განაჩენი მუდამ იწერება, რომელსაც ყველა დამსწრე წევრმა ხელი უნდა მოაწეროს.

§ 57. გამგეობა ყოველსავე საქმეს ხმის უმეტესობით სწყვეტს, ხოლო როდესაც ასეთი უმეტესობა არ არის, მაშინ საკამათო საგანი წარმომადგენელთა კრებას წარედგინება გარდასაწყვეტად; წარმომადგენელთა კრებასვე წარედგინება ის საგნები, რომლების შესახებაც მოქმედებას გამგეობა და სარევიზიო კომისია საზოგადოების ყველა წევრთა თანხმობით სცნობენ საჭიროდ და რომლებიც, წესდებისა და წარმომადგენელთა კრების-მიერ მიცემულს ინსტრუქციის ძალით, გამგეობას არ შეუძლიან გარდასწყვიტოს.

შენიშვნა. თუ რომელიმე წევრი გამგეობის დადგენილებას არ დასთანხმდება და მოითხოვს, რომ ეს მისი წინააღმდეგობა განაჩენში იქმნეს ჩაწერილი, მაშინ იგი გამგეობის დადგენილებაზე პასუხს არ აგებს.

§ 58. გამგეობის წევრნი ჰმოქმედებენ თანახმად იმ საზოგადო კანონებისა და დადგენილებათა, რომლებიც ამ წესდებაში არიან მოთავსებულნი; ხოლო თუ კანონის წინააღმდეგს განკარგულებას მოახდენენ, თავისს უფლებას გადააჭარბებენ, წესდებას დაარღვევენ, ან შენიშნულ იქმნებიან, რომ არ ჰმოქმედებენ და საზოგადო კრებების დადგენილებას არ ასრულებენ, მაშინ კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

შენიშვნა. წევრთა საზოგადო კრებას შეუძლიან გამგეობის წევრნი ვადის გასვლამდეც გადააყენოს სამსახურიდგან.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 137.

## ახალი ამბავი

*** მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინების სამახსოვროდ ქალაქის უფასო სამკურნალოს დაარსების საქმე კუკიაში უკვე განუხილავს საგუბერნიო ადმინისტრაციას და მალე ადგილობრივს უმაღლესს მთავრობას წარუდგენს.

*** კვირას, 13 ივლისს, სათავადაზნაურო თეატრის ფოიეში დურგლებს კრება ექმნებათ. კრებაზედ მოილაპარაკებენ, თუ რა საშუალება უნდა იღონონ, რომ შეერთებულის ძალით დღევანდელს ნივთიერს უკიდურესს მდგომარეობას როგორმე თავი დააღწიონ.

*** რეიტერის ქუჩისა და მამუკაანთ სოფლის შუა გასადებ ხიდის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საბჭომ უკვე დაამტკიცა. ხიდი წმ. ბარბარეს ხევზედ იქმნება გადებული. ამ ხიდისათვის 3,500 მან. გადადებულია.

*** კავკასიის რკინის გზის გამგეობას დაუდგენია, რომ ტფილისისა და განჯის სადგურებზედ წინ მიდამო ასფალტით მოავონ, რადგანაც დღეს ამ ადგილას მუდამ საზარელი სუნი ტრიალებს აქ მდგომ მგზავრების მომლოდინე ეტლებისაგანა.

*** ფოთის ქალაქის თავს ნ. ი ნიკოლაძეს მიუმართავს კავკასიის რკინის გზის მთავრობისათვის, რომ ქალაქის ტელეფონი რკინის გზის სადგურზედ იქმნას დადგმული.

*** როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროს აზრადა აქვს თურმე კავკასიაში ჩაის მოყვანის საქმე გააფართოვ-გააგანიეროს, რისთვისაც ჩინეთსა და კუნძულ ცეილონზე რამდენიმე აგრონომი გაიგზავნება ჩაის მოყვანისა და გაშენების ხელის კარგად შესასწავლად.

*** იმავე გაზეთების სიტყვით, მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გადასწყვიტა გამართოს 1898 წელს კავკასიის და დონის სხვა-და-სხვა ადგილას მეცხვარეობისა და მემატყლეობის ოთხი გამოფენა. პირველი გამოფენა როსტოვში იქმნება.

*** 8 ივლისს ბათუმიდგან 300 ღვთის მლოცავი მაჰმადიანი საგანგებოდ მათთვის გაგზავნილის მატარებლით ბაქოსაკენ წამოვიდნენ. მატარებელს ყოველს სადგურზედ გასინჯვენ ექიმები და დეზინფექციას უზმენ, რომ სენი რამ არ მოჰყვეთ თან.

*** თუ გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს დაუჯერეთ, ტფილისელს მეტივეებს კავკასიის მთავარმართებლისათვის მიუმართავთ თხოვნით ტფილისში მტკვრით ჩამოტანილ ტივის ხეებზედ დადებული გარდასახადი ქალაქის სასარგებლოდ სრულიად მოგვისპეთო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს სიტყვით, კავკასიის მთავარმართებელს უცნობებია წყალთა და მდინარეთა მმართველობისათვის, რომ ჩემ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ რიონის საწყლე რაიონი გაფართოებულ იქმნას და რამდენიმე ტოტი კიდევ შეუერთდეს ამ რაიონსაო. რიონის საწყლე რაიონის საზღვრების დამტკიცება სამეურნეო სამინისტროს საადგილ-მამულო განყოფილებისაგან არის დამოკიდებულიო.

*** სადგ. სუმბათოვო. 9 ივლისს, [illegible]ზედ, როგორც მატარებელი სადგურზედ გაჩერდა, № 8 მატარებლის მემაშინემ მახვილაძემ შეჰნიშნა თურმე, რომ № 6 მატარებელს რაღაცა საეჭვო საგანი მოჰყვა თვლებ ქვეშ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მატარებელს, რომელიც ბორჯომიდგან მოდიოდა, თან მოეთრია თავ წაწყვეტილი უცნობი კაცი. ვინაობა ამ კაცის ჯერ ვერ შეუტყვიათ.

*** რაჭა. წელს ჩვენ სიმინდს კარგი პირი უჩანს, პურს-კი ცოტა თავთავი ვერ აქვს სამსე. ნაწამლ ვენახს, ჯერ ჯეროვით არა უშავს-რა, მაგრამ უწამლოს-კი ხეირი არ დაეყარა: ფოთოლი შეახმა და მტევანი მთლად დაეხრუკა. უწამლობის უმთავრესი მიზეზი შაბიამანის სიძვირეა. იმდენად იაფი რომ იყოს იგი, რომ ყოველ გლეხს შეეძლოს ყიდვა და წამლობა, მაშინ სწორედ ბედნიერნი იქნებოდნენ აქაური გლეხები.

*** სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრა): 29 ივნისს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. აი როგორ იყო ეს ამბავი: გვარად ბუკიამ თავისი ბიძაშვილი ახალგაზდა ყმაწვილი რევოლვერით მოკლა. ზემოხსენებული ბუკიები მაყრად იყვნენ მოპატიჟებულნი მეზობლისას. როდესაც სადილს შეექცეოდნენ, ერთს ეთქვა მეორესათვის ხუმრობით: „მალე გავათავოთ ძმაო, სადილი, შორიდგან გვყავს მოსაყვანი „პატარძალი“-ო. მეორეს ეთქვა: „აბა რა ოხრად გვიანდა იარაღი“-ო და თან ხუმრობით რევოლვერი ბუდიდგან ამოუღია, უნდოდა თურმე ტყუილად გაესროლა. ჩამოეკრა ჩახმახისთვის რამდენჯერმე, მაგრამ არ გავარდნილა. მერმე ისევ ბუდეში უნდოდა ჩაედო, საუბედუროდ, ამ დროს უცაბედად გავარდა რევოლვერი და იმის პირდაპირ მჯდომს ბიძაშვილს გულში მოხვდა. საწყალს დაჭრილს მხოლოდ ეს-და ეთქვა: „მადლობა ღმერთს, ძმისაგან ვიქმენ მოკლული და არა სხვისაგანა“-ო. ამ სიტყვების თქმა და სულის დალევა ერთი იყო. მკვლელმა ბიძაშვილმა თავისი თავის მოკვლა მოინდომა ხანჯალ-რევოლვერით, როგორ შემომაკვდა საყვარელი ძმაო, მაგრამ დაიჭირეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამ სამწუხარო გარემოებით „პატარძალის“ მოყვა ყველას დავიწყებული აქვთ დღესაც.

აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. თუ ყველას უკლისად აჩუქა ღმერთმა, გასასყიდსაც ჩამორჩებიან...

*** ს. ეწერი (ქუთაისის მაზრა) აქ ამ ჟამად გვარიანი ამინდები სდგას;

წვიმას ხშირ-ხშირად გვიგზავნის მაღლიდგან ცა; ყანები ჯერ-ჯერობით კარგია, ხოლო ეხლა რას უზამს ივლისისა და აგვისტოს სიცხეები, არ ვიცით. მეტად გაჭირვებულია აქეთ ბაღი ბოსტანი, რადგან სარწყავი წყალი არსაიდგან მოგვეპოვება. ერთის ვერსის სიშორეზედ ჩვენგან სოფელს იანეთში ჩამოდის ხონიდგან ცხენის წყალი; აქაურმა მცხოვრებლებმაც ამოვარჩიეთ ამ საქმისათვის წევრები, შევკრიბეთ ფული ზოგმა 5 მანეთი, ზოგმა 3 მანეთი და გადავეცით იმათ, მაგრამ აგერ მესამე წელიწადია, არა თუ ცვარი წყალი არ გვინახავს, არამედ, როდესაც სოფელმა ანგარიში მოსთხოვა, მათ გაჰკრეს, გამოჰკრეს „ჩოთქი", რომ ტფილისში ვიყავით [illegible] იქ დაგვეხარჯაო; ხონში მირაბთან დაგვჭირდა ხარჯი, თხოვნების და მარკების ფასი დაგვეხარჯაო და ამითი გაათავეს საქმე. წევრები ამორჩეულნი იყვნენ ამ საქმის თაობაზედ როგორც იმავე სოფლის გლეხნი, აგრეთვე აზნაურებიც. კარგი იქნება, რომ ეს ბატონები ანგარიშს რიგიანად მისცემდნენ საზოგადოებას.

*_* გუშინ წინ, 8 ივლისს, ტფილისში პირველი წარმოდგენა გამართა ტივოლის ბაღში, მუშტაიდთან, სურის ცირკმა. ცირკის არტისტთა შორის უფრო ყურადღებას იქცევს ორი ოჯახობა—სურისა და ცოლ-ქმარი კრემზერისა. თითქმის ყველანი კარგი არტისტები არიან დანი მარტა და ოლგა და ძმანი ოტტო და ადალბერგ სურნი. პირველი წარმოდგენა ცირკისა კარგის პროგრამით იყო შედგენილი. საზოგადოება საკმაოდ ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდნენ. სხვათა შორის, ძალიან მოეწონა იქ მყოფთ ბ-ნ ვილლი კრემზერის მიერ გაწვრთნილი ძაღლები და ჩვენებური ცხენის ჯირითი, რომელსაც ისეთის განსაცვიფრებლის სიმარდით ასრულებს ოლგა სური. ეს დასი ცირკის მოთამაშეთა ჩვენს ქალაქში დიდს საზოგადოებას მიიზიდავს, თუ პროგრამა გაამრავალსხვაგვარეს და ახალი არტისტებიც მოიწვიეს, როგორც განზრახული აქვთ.

### პანაშვიდი განსვენებულის ა. ვ. სტეფანოვის სულის მოსახსენებლად

გუშინ, 9 ივლისს, 10 წლის შესრულების დღეს, რაც განსვენებული ალექსანდრე ვასილის ძე სტეფანოვი გარდაიცვალა, სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის გალავანში, სადაც მისი გვამი ასაფლავია, ადგილობრივის ჟურნალ გაზეთების (რუსულ-ქართულ და სომხურისა) წარმომადგენელთა თანადასწრებით პანაშვიდი იქმნა გარდახდილი მღ. ბარნაბაშვილის მიერ, რომელმაც მოკლე, მაგრამ მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა პანაშვიდის შემდეგ განსვენებულის სტეფანოვის მოღვაწეობის შესახებ. დაახლოვებით აი რა სთქვა მღ. ბარნაბაშვილმა: „შენ რომ სხვასავით უმნიშვნელოდა და უბრალოდ გაგეტარებინა შენი სიცოცხლე და არ სცდილიყავი საზოგადოების საკეთილდღეოდ მოგეხმარებინა შენი ნიჭი და ძალა, რაიცა შენმა გონებისა და გულის ნაწარმოებმა ნათელ-ჰყო ყველასათვის, მაშინ არავინ მოგიგონებდა. მაგრამ აი, დღეს აქ შენდა პატივსაცემლად, მოსაგონებლადა და შენის სულისათვის ლოცვის წარსათქმელად შეკრებილან შენის ნათელის საქმის მიმდევარნი და ამით უკვდავჰყოფენ შენს ხსენებასო".

განსვენებული ალექს. ვას. სტეფანოვი ჯერ ისევ 70 წლებში იქმნა კავკასიაში გადმოყვანილი პერმის გუბერნიიდგან. კავკასიაში მას სხვა-და-სხვა საპატიო ადგილი ეჭირა სასამართლოს უწყებაში და ცნობილი ნაფიცი ვექილი იყო. მაგრამ მისმა გულმა ეს არ იკმარა და დააარსა სპეციალური ორგანო „იურიდიული მიმოხილვა", ხოლო შემდეგ 1883 წ.—„ნოვოე ობოზრენიე". განსვენებული მუდამ ერთგულადა და სამართლიანად ემსახურებოდა ბეჭვდის საქმესა და მუდამ იმას სცდილობდა, რომ ეროვნების [illegible] რგებლობა მოეტანა. აი, რას ამბობდა განსვენებული ეროვნებათა შესახებ: „ჩვენის აზრით,—სწერდა იგი,—ყოველს ერს ბუნების მიერ მინიჭებული აქვს უფლება, რომ თავისის გენიის თვისებურობა და ნიჭი განივითაროს; რამდენადაც უფრო ფართო და თავისუფალი იქმნება ეს განვითარება, იმდენად უფრო ძვირფასს განძს შესძენს იგი (ეროვნება) საკაცობრიო და საეროვნო სულის სალაროსო". და ყოველთვის ერთგული იყო იგი ამ პრინციპისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება განსვენებულისა!

### საზაფხულო პედაგოგიური კურსები

დღეს მესამე დღე არის, რაც საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსაგან დაარსებული საზაფხულო პედაგოგიური კურსები დაიწყო. საბჭოსაგან მოწვეულნი იყო 30 მასწავლებელი კაცი და 26 მასწავლებელი ქალი, მაგრამ მსურველი მეტი აღმოჩნდა და არც საბჭომ განუცხადა უარი, ასე, რომ დღეს მასწავლებელი ქალი და კაცი სულ 65-ია. მასწავლებელთ თვით არაფერი ეხარჯებათ და თითქმის ყველაფერი საბჭოსაგან ეძლევათ: ბინა, საჭმელ-სასმელი, გზის ფული და სხვა.

საბჭომ დაადგინა, პირველად სამოსწავლო ლექციები წაკითხულიყო სემინარიაში და შემდეგ სამეურნეო საგნების შესახებ—საბაღოსნო სასწავლებელში, მაგრამ გარემოებათა გამო ეს წესი შეცვლილ იქმნა და პირველად ლექციების კითხვა დაიწყო სასოფლო სამეურნეო საგნების შესახებ საბაღოსნო სასწავლებელში. ეს ლექციები გასტანს 21 ივლისამდის, შემდეგ დაიწყება ლექციები პედაგოგიის შესახებ სემინარიაში. შენობის სივიწროვის გამო გარეშე ყურის მგდებელთ აღეკრძალებათ საბაღოსნო სასწავლებელში ლექციების მოსმენა.

ლექციებს კითხულობენ ბ.ნნი პ. ს. კრავჩენკო და ფ. ვ. ტურჩინსკი. პირველს აქვს მინდობილი მებოსტნეობის შესახებ ლექციების წაკითხვა, მეორეს—სახეხილო ბაღის გაშენებისა. ამ მასწავლებელთაგან თეორიულად და პრაქტიკულადაც, განხილულ იქმნა ჯერ-ჯერობით შემდეგი საგნები: 1) რა ნიადაგის ადგილი შეჰფერის ბოსტანს და სახეხილო ბაღს. 2) მზის რომელ მხარეს უფრო სასარგებლოა მისი მდებარეობა. 3) როგორ განოყიერდება, თუ ბუნებით ანუ დიდი ხნის მუშაობით ძალა-გამოლეული ნიადაგია. 4) რა საშუალებაა საჭირო ნაშრომის უზრუნველ-ყოფისათვის გარე და შინაგან მტერთაგან. 5) რა და რა წესები არსებობს ბოსტნის დასაკვალად, რა სიშორეზედ უნდა იყოს კვლები ერთმანეთზედ. 6) რა და რა წესი არსებობს მორწყ ვისა. 7) რა და რა წესი არსებობს ხეხილის დასარგველად. 8) სამუშაო იარაღი ჩვენში და სხვა განათლებულს ქვეყნებში.

მასწავლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბ-ნი ფ. ვ. ტურჩინსკი, რომელიც ენა-წყლიანი კაცია, საგანგებოდ აქვს შესწავლილი თავისი საგანი და გულითაც უყვარს სასოფლ[illegible] მასწავლებელნიც დიდის გულ-მოდგინებითა და ყურადღებით ისმენენ ლექციებს. უფრო ძლიერ მოეწონათ ლექციები მევენახობის შესახებ. ბ-ნმა ტურჩინსკიმ აუხსნა სხვა-და-სხვა წესი ვენახის გაშენებისა და შემდეგისთვის აღუთქვა გააცნოს წესი ამერიკულის ვაზის მყნობისა ჩვენებურს ვაზზედ. მასწავლებელნი ამ დაპირებას დიდი სიხარულით მიეგებნენ და ტაში დაუკრეს. ბ-ნი ფ. ვ. ტურჩინსკი დაჰპირდა აგრეთვე შეუდგინოს მასწავლებელთ სია, თუ რომელი ხეხილის რა წესით დარგვა უფრო სასარგებლოა.

თ. მ—შვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მამათი*)**, (ოზურ. მაზრა). ყველამ კარგად უწყის, რომ დღეს სწავლა-განათლების საქმე გურიაში ყველა დაბა-სოფლებზედ წინ მიდის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეხვდებით ისეთს მივარდნილს სოფლებსაც, სადაც არა თუ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ქართულ წიგნებსაც-კი ვერ მოიპოვებთ. აი, ამათში ურევია სოფ. მამათიც. მამათში სწავლა-განათლების საქმე მეტად ნელის ნაბიჯით მიდის. წარმოიდგინეთ, როდესაც გურიის ყველა სოფელში სამკითხველო იმყოფება, ჩვენ ჯერ არა გვაქვს და ყურსაც არავინ იბერტყავს!... ამ საგნის შესახებ 1897 წლის „მწყემსი"-ს 1 №-ში იყო დაბეჭდილი ბ-ნ ზართ. ალექსიძის პატარა შენიშვნა დიდის გულმტკივნეულობით დაწერილი. შიგ, ეჭვი არ არის, მხოლოდ კეთილსა და მშვიდს რჩევა-დარიგებას აღმოიკითხავდა ყველა, მაგრამ „შორი მართალთაო", ნათქვამია და ამის ავტორსაც ისე მოუვიდა. ის შენიშვნა ერთმა საპატიო ადამიანმა რაღაც სხვა აზრით გადასცა ხალხსა და თითქმის უბედურება არ მოახდინა ბ-ნ ზ. ალექსიძის წერილის გამო.

ხარებობა დღეს, წირვის შემდეგ, მან მოიხმო ხალხი, ამოიღო ჯიბიდგან „მწყემსის" №-ი და წაქეზებით წაუკითხა ხალხს: „აი, რასა სწერს მამათლებზედ ის ვიღაც ზართლომე ალექსიძეო! განა ჩვენ გვმინავს? განა გურულ კაცზედ შეიძლება ადამიანმა ასეთი სიტყვები სთქვას?—ჰხედავთ, რომ მთელი მამათლები დაულანძღავართო!" ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა, ამოძებნეს, ვინც იყო დამწერი იმ წერილისა, მაგრამ იმ ხანად იქ არ იმყოფებოდა. იმისმა საბრალო მამამ, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, ბევრი საყვედური და მუქარა მოისმინა. „დედავ, თუ გვმინავს, მოვიდეს ერთი აქანაი და გამოვაჯგიმებთ იმასაო. მეორე გაიძახოდა: „კაი, წავსდი, მამის! რა დოუწერია ვინცხა არის! აი!.." სხვანი ურჩევდნენ: „პრიგოვორი შევუდგინოთ, თვარა კიდე დაგვიწერს რამეს და თავი მოგვეჭრებაო და სხ. მიზეზი ყველა ამისა-კი—ეს ადამიანი დამშვიდების ნაცვლად, უფრო და უფრო აქეზებდა ხალხს. ამ დროს მოვიდა მ. ს. გ—ძე, რომელმაც ხალხში მშვიდობიანობა ჩამოაგდო და „მწყემსში" დაბეჭდილის წერილის შინაარსი და აზრი აუხსნა. იგი რომ ასე არ მოქცეულიყო აღელვებული ხალხი ვინ იცის რას უზამდა იმ წერილის ავტორს [illegible]

N

*) ამ წერილმა ჩვენდა უნებურად დაიგვიანა. რედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინდელს №-ში მოხსენებული გვქონდა, რომ „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი"-ს № 178-ში „კავკასიის საჭიროებათა" შესახებ წერილია დაბეჭდილიო. ჩვენ გუშინ მხოლოდ ადგილ-მამულის სიმცირის შესახებ ამოვიღეთ ერთი ადგილი. ავტორი ხსენებულის წერილისა ადგილ-მამულის სიმცირის გარდა კავკასიის მცხოვრებთა ნივთიერად დაქვეითების მიზეზად ორს კიდევ სხვა გარემოებას ასახელებს: უგზოობასა და მევახშეობას. ასურათებს-რა ამ მხრივ კავკასიის მცხოვრებთა მდგომარეობას, აი, რასა სწერს იგი:

ამ რიგად, როგორც სჩანს, ადგილ მამულის სიმცირე, უგზოობა და მევახშეობა, თითოეული ცალკე და სამივე-კი ერთად არა თუ აფერხებენ ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობას, პირ-იქით დღითი-დღე ძირს უთხრიან ამ კეთილდღეობასა და ეს ოდესმე მადლიანი, მდიდარი, აჭყვავებული და ნაყოფიერი მხარე ღამის უკიდურესს სიღარიბემდე მიიყვანონ.

საქმის ამ გვარს გარემოებას, რომელსაც არა მარტო ადგილობრივ, არამედ მთელის სახელმწიფოსათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, უთუოდ მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება და დაეხმაროს, რადგან ადგილობრივი ძალა ვერაფერს გახდება.

ამ სამ ბოროტებათა შორის, ადგილ-მამულის სიმცირეს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ამ ჟამად მთავრობამაც ყურადღება მიაქცია, თუმცა მხოლოდ ცალმხრივ—სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობას, ჩვენის ფიქრით ორს დანარჩენს მაინც: უგზოობასა და მევახშეობას უთუოდ უნდა ეშველოს რამე და მთავრობამ დაუწესოს საგლეხო ბანკი იმ წესითა და რიგით, როგორც ადგილობრივს ყოფა-ცხოვრებას უფრო შეეფერება.

კავკასიაში საგლეხო ბანკს აზრად მარტო სესხის გაცემა არ უნდა ჰქონდეს მამულის გირავნობით, არამედ მისი მოქმედება მთელის გლეხობის საჭიროებას უნდა უძღვებოდეს: მისცეს სესხი სხვა-და-სხვა ნაწარმოების გირავნობით, დააარსოს ცენტრალური ბაზარი იმ ადგილებში, სადაც ღვინო, თამბაქო, აბრეშუმი, ბამბა და სხ. მოჰყავთ, როგორც უკვე მოიქცა თვით განუნათლებელი ოსმალეთიც-კი, რომელმაც „თამბაქოს ბაზარი" დააარსა მრავალს ადგილას, რომ ფასი თამბაქოსი და მოთხოვნილება მისი გლეხთ მუდამ სცოდნოდათ და სხ. საჭიროა აგრეთვე შეიძინოს ბანკმა ის მამულები, რომელიც უკველ წლიურად ბლომად ისყიდება საჯარო ვაჭრობით სათავად-აზნაურო ბანკებში და შემდეგ ეს მიწები შეუძლებელსა და უადგილ-მამულო გლეხებს დაურიგოს და სხ., რაიცა გლეხობას დიდად დაეხმარებოდა და დაუფასებელს სამსახურს გაუწევდაო. ერთის სიტყვით, საგლეხო ბანკი ბევრს გაჭირვებაში დაეხმარებოდა ხალხს და მევახშეებისაგან იხსნიდაო.

## რუსეთი

—

ექიმთა საერთაშორისო კრებაზედ მონაწილეობის მიმღებთ უფასო ბილეთებისათვის რკინის გზით წასასვლელად უფროსს მდივანს პროფესორს ვ. კ. როტტს უნდა მიჰმართონ და ამასთან წინადვე აცნობონ, რომლის გზით აპირებენ მოსკოვს წასვლას. ამ ბილეთებით სარგებლობა 20 ივლისიდგან შეუძლიანთ.

— ლიფლიანდიის მეურნეობისა და სოფლის მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება აგვისტოში ცხენებისა, საკლავ სხვილფეხ საქონლისა, ცხვრისა, ღორისა და სხვა სამრეწველოს გამოფენას გაჰმართავს დორპატში (იურიევში).

— ფინანსთა სამინისტროს შემდეგი საგანი აღუძრავს: 1) რკინის გზის მომქმედი წესდებულება შევსებულ იქმნას ახალის დამატებითის დადგენილებით, რომლის ძალითაც ერთხელ გაყიდულს ბილეთს, თუ რომ ამ ბილეთით უკვე უმოგზავრნია ვისმე, ძალა აღარა აქვს და 2) შევსებულ იქმნას სასჯელთა წესდება ახალის მუხლით, რომლის ძალითაც რკინის გზის მგზავრი დასჯილ უნდა იქმნას, თუ შენიშნულ იქმნება, რომ იგი ბილეთს სხვას მიჰყიდის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტს ზოგიერთა გუბერნიის ერობათათვის მიწერილობა გაუგზავნია, რაც შეიძლება ჩქარა გამოარკვიეთ, რომელი სოფელი ან დაბა შეიძლება ქალაქად იქმნას გადაკეთებულიო.

— პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების პირველის კომისარის თანაშემწედ ფინანსთა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელე ვუიჩი იქმნა დანიშნული. ვუიჩსვე აქვს მინდობილი პირველის კომისარის თანამდებობის შესრულება.

— გაზეთი „Бирж. Вѣд." იუწყება, საერო განათლების სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგებაო საყურადღებო საქმის განხილვას შესახებ იმისა, რომ სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოწაფეებმა ყოველ წლივ იმოგზაურონ ხოლმე რუსეთში. მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებენ ხოლმე საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფენი, რათა ამ გვარად შეისწავლონ მთელის სახელმწიფოს ბუნება, ქარხნების მრეწველობა და საისტორიო ნაშთები.

— 18 აგვისტოს პეტერბურგში დაიწყება კრება საერთაშორისო სასტატისტიკო მოღვაწეთა. ამ კრებაზედ

მოწვეულნი არიან უცხო სახელმწიფოთა სასტატისტიკო კომიტეტების წევრნი და მათ დასახვედრად მთავრობამ გადასდო 10 ათასი მანათი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული კომიტეტი უკვე შეუდგა დასაზღვევ საქმის გამოკვლევას. ეს გამოკვლევა გათავდება შემოდგომამდე და წარედგინება საგანგებო კომისიას, რომელშიაც იქმნებიან წარმომადგენელნი ფინანსთა, იუსტიციისა და მიწად მოქმედების სამინისტროებისა.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** მაშინ როდესაც მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთები ოსმალეთისა და იმის პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან, ბისმარკის გაზ. “Hamburger Nachrichten“-ი მხარს უჭერს სულთანს და ოსმალეთის სასარგებლოდ ჰლაპარაკობს. ეს გაზეთი ჯერ დასცინის ევროპის ესრედ წოდებულს „კონცერტს“, რომელმაც, იმისის სიტყვით, იმდენი ძალაცკი ვერ გამოიჩინა, რომ საბერძნეთი თავისს ნებაზე გაეტარებინა და ამ რიგად სათავეშივე მოესპო ეს ამოდენა აყალ-მაყალი და დავიდარაბა. შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ ოსმალეთის მოთხოვნილებანი საფუძვლიანია და ევროპის დიპლომატია ვალდებულია მხედველობაში მიიღოს მაჰმადიანთა მისწრაფებანი და სურვილიო. დასკვნა გაზეთისა ის არის, რომ სახელმწიფონი ძალად ვერ აკისრებინებენ ოსმალეთს თვის წინადადების მიღებას.თუ ოსმალეთმა თვით არ მოისურვა თესალიიდგან გამოსვლა, სახელმწიფონი ვერ გამოაძევებენ, იქიდგანაო. ძალიან საეჭვოა და შეუძლებელიც არის, რომ ოსმალეთმა თესალია საბერძნეთს დაუთმოსო.

— გაზ. „Journal des Debats“-ი კი სულ სხვას ამბობს. იმის სიტყვით, სახელმწიფონი ისე თანხმად ჰმოქმედებენ, რომ ოსმალეთს აღარაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ იარაღი დაჰყაროს და იმათ რჩევასა და კვალზედ გაიაროს. სახელმწიფოთა პასუხები, ამას წინად სულთანთან გაგზავნილი, ერთის მეორისაგან არაფრით განირჩევა და თითქმის ყველანი ერთსა და იმასვე ურჩევენ სულთანს: დასთანხმდეს ევროპის გარდაწყვეტილებასაო. მართალია ჯერ არ ვიცით ასეთის პასუხის შემდეგ რა გზას დაადგება ოსმალეთი, მაგრამ ეს-კი აშკარაა, რომ იგი ბევრს რასმეს ვეღარ მიედ-მოედება და ნება-უნებურ, რად დაემორჩილება ევროპასაო.

—

**აბაშეთი.** რაც აბაშეთის მეფე მენელიკმა იტალიელები დაამარცხა მას შემდეგ აბაშეთი ევროპის თვალში ერთი-ორად ამაღლდა და ეხლა ყველანი დიდის მოწიწებითა და პატივის ცემით ეკიდებიან. თითქმის ყველანი იმასა სცდილობენ, რომ დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ ამ პატარა, მაგრამ გულადისა და მამაცის ხალხით დასახლებულ სახელმწიფოს. მაგრამ მენელიკს თავი მაღლა უჭირავს და ჯერ-ჯერობით არც ერთს სახელმწიფოსთან მტკიცე და დაახლოვებულ კავშირს არ იჭერს. აშკარაა, მენელიკმა კარგად იცის ევროპიელთა ხასიათი და ის, რომ იმათთან კავშირს დამონება და დამორჩილება მოსდევს და ამიტომ ასე განზედ იწევს. მიუხედავად ამისა, გაზ. „Berl. Tageb.“ სიტყვით, აბაშეთი იმდენად გაჭირვებულია ქონებრივად, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც მიჰმართავს საშველად რომელსამე სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს წლიწადში შემოსავალი სულ 7 მილიონი ფრანკი აქვს და ხარჯი-კი აუარებელი. ყველაზედ საშიში აბაშეთისათვის, გაზეთის სიტყვით, ინგლისია, რომელიც ჯერ ეხლავე ათასგვარ ხრიკსა ჰხმარობს, რომ აბაშეთის ვაჭრობა ჩაიგდოს ხელშიო. რასაკვირველია, თუ ეს ვაჭრობა ჩაიგდო, მაშინ ინგლისი ჩვეულებისამებრ სხვა რასმესაც წააპოტინებს ხელს და მალე ისე მოაწყობს საქმეს, რომ აბაშეთი სულაც ვეღარ დააღწევს თავსაო.

## ნარევი

—

საზოგადოებაში ლაპარაკი ჩამოვარდა სიცივით გაყინულთა და დახოცილთა შესახებ.

— მე იმ აზრისა ვარო, სთქვა ერთმა, რომ მაგ ნაირი სიკვდილი მძლე არ უნდა იყოს. დაჯდები, დაგეძინება და როდესაც გამოიღვიძებ, უეჭველად გათავებული იქნება კიდეცაო.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

„ივერიის“ მე-117 ნომერში დაბეჭდილი იყო ცნობა შესახებ სულთანის ჭარამხანისა და ერთის ქალისა, რომელიც სულთანს ცოლად უნდოდა შეერთო, მაგრამ ქალმა არ ინდომა, მაშინ სხვა კაცს მიათხოვეს და თავი მოიკლაო. ამ ცნობის გამო ჩვენს რედაქციას მოუვიდა კონსტანტინეპოლიდგან შემდეგი წერილი ასკე რაშკელისა. ეს ამბავი შეცდომით არის დაწერილიო, სწერს ასკე რაშკელი და ეკუთვნის ჩემ მიერ უკვე დაწერილ რომანის ამბავსაო. „ივერიაში“ სწერია: „სასახლეში 15 ათასი სული სცხოვრობსო“ —სულ ხუთი ათასი მლივს იქნება. სასახლეში, უფლის პრინცების სასახლისა და ჭარამხანის ერთად ათასხუთასი ქალის მეტი არ მოიპოვება. „მეექვსე ნომერი“, ანუ „ხალიფის წინააღმდეგი“ ჩემი მოთხრობის სათაურია, „ნადირე-ხანუმი“-კი გმირი მოთხრობისა. „ივერია“ ამბობს: „ისეც მოხდებაო, რომ სულთანის არჩეული ქალი არ თანხმდება სულთნის ცოლობაზედო“. ეს ერთად ერთი შემთხვევა იყო, რაც ისტორიას ახსოვს ოსმალეთის ჭარამხანის ცხოვრებას. მართალია, მუსულმანთა კანონით „შერიათის“ ძალით ნება არის საჭირო ქალისაგან, მხოლოდ მარტო იმ შემთხვევაში, თუ ეს ქალი ქოლე, ან ნაყიდი არ არის. თვით ჩემი მოთხრობის გმირს „ნადირე-ხანუმსაც“ ჭსურდა სულთნის ცოლი გამხდარიყო და სიამოვნებითაც წავიდა სხვა ორმოც-და ათ ლამაზ ქალებთან ერთად, მხოლოდ როცა ხალიფამა უბრძანა საქმროს, თვით ქალების თვალწინ — „მეექვსე ნომერი“-ო, ეს იუკადრისა ამაყმა და მშვენიერმა ნადირემ და მოახსენა: „მე ქოლე არა ვარ ბატონო, მე თავისუფალი ვარო“. ეს ქალი მოყვანილი იყო კავკასიიდგან. მხოლოდ რაგვარს ეკუთვნოდა, ეს არავინ იცის. ზოგი ამბობს, ქართველი თავადიშვილის ქალიაო. აქ რომ მოიყვანეს, ოთხის წლისა ყოფილა და სოხუმის აღების დროს წამოუყვანია ვიღაც ჩერქეზს სადიგ-ბეგს. შემდეგ ის ველარაფერმა ვეღარ დაითანხმა, „მე ძროხა ხომ არ ვიყავი,—ან თეატრის სკამი, რომ ნომრებით ამომერჩიაო და სხვა. აქ სხვა მიზეზებიც იყო. ნადირეს უყვარდა ერთი ჩერქეზი, რომელთანაც მას თუმცა საკმელიდან შორს ზღვაში დაენახა ორ-სამჯერ იგი, მხოლოდ დიდი სულიერი კავშირი ჰქონდა. მისი სასიმღერო ლექსებით აღტაცებული იყო. ჭარამხანაში, მართალია წინეთ მარტო ყორანსა და ცეკვა-სიმღერებს ასწავლიდნენ, მხოლოდ ეხლა ეს ასე როდია, ეხლა ეს უფრო ობოლთა ინსტიტუტსა გავს, სადაც ასწავლიან თათრულ, ფრანგულს წერა-კითხვას, ისტორიას, გეოგრაფიას, მუსიკას სხვადა-სხვა ორგანოებზედ და სათეატრო პიესებს. აქ მოიპოვება თითქმის ყველა რიგიანი რომანები, რომელიც მუსულმანის რჯულს არ ეხება და სხვა. 17—18 წლის გახდება თუ არა ქალი, თუ ამ დრომდე წილი არ შეხვდა და თუ ისურვებს, გაათხოვებენ. „ივერია“ ამბობს, „ნადირემ ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფაო, რომ ის ჩაუშს (უროადნიკს) მისცეს და თავი მოიკლაო“. ეს ასე არ იყო. მართალია, როცა, ვერაფერმა საშუალებამ ვეღარ გასჭრა, მისცეს ერთს სასახლის ურიადნიკს და გაგზავნეს მცირე აზიაში, მხოლოდ საყვარელმა ათიონ-გორაისარის ქალაქში მოკლა ჩაუში და ნადირე მოიტაცა და ორივენი ერთად დღესაც დაკარგულნი არიან. ყოველივე ხარჯი, რაც სასახლეში იხარჯება გარდა იმ ერთი მილიონი ლირასი, რაც სულთანს ეძლევა ხაზინიდან, როგორც ჯამაგირი, ის თავის საკუთარი ხაზინიდგან ჰხარჯავს. მას აქვს წმინდა შემოსავალი თავის საკუთარი მამულებიდან ოც მილიონ ლირამდის წელიწადში და აქედან ხარჯავს ხუთმეტ მილიონამდის. სულთანი მეფეთა შორის მეოთხე სარისხის მდიდრად ითვლება. ნაღდი ფული აქვს 80 მილიონი ლირა (ლირა 8 მანეთი და 50 კაპ.) აი, ეს გახლავთ კიდეც, რომ დღეს ევროპას აოიქრებს სულთანი, რომელმაც არა ერთხელ გამოაცხადა საქვეყნოდ, „ფულის დარდი ნუ გაქვთო“.

## წერილი რედაქციის მიმართ

სასანიტარო-სამკურნალო ზედამხედაობის ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვისა.

(შემდეგი *)

მას შემდეგ, რაკი მკურნალისა და ბოქაულის თანაშემწის უთანხმოების გამო თევზი არ იქმნა გაშინჯული, მკურნალმა გონიევმა ყოველივე ესე მე მაცნოდინა. მე ასეთი მისი საქციელი ვსცანი კანონიერად, ვუთხარი, წესი ეგრეა-მეთქი და შენი მოქმედება სრულიად და სავსებით ეშესაბამება სამკურნალო-სასანიტარო ინსტიტუტის მიერ შემუშავებულს რიგსა-მეთქი, რომლის ძალითაც, როცაკი გასაშინჯია და გადასაყრელი ბლომად ნუზლ-სანოვაგე, უთუოდ კამისია უნდა შესდგეს მკურნალთა და იმათ უნდა გასინჯონ ერთადა და შეადგინონ ჯეროვანი ოქმი, რათა შემდეგ სასამართლოში გაუგებრობა და ჰო-არაობა არა მოხდეს-რა. ამიტომ ვსთხოვე ქალაქის მოურავს მოეხდინა განკარგულება კომისიის შესადგენად და სალამბეგოვის ბოჭკების გასაშინჯად. ჩემის [13]) თხოვნის გამო ქალაქის მოურავმა მიჰმართა ქაღალდით, 12 ოქტომბერს 1894 წელს № 4695, ბ-ნს პოლიცმეისტერს და მისწერა შემდეგი: „საჭიროდ მიმაჩნია გასინჯულ იქმნას იმავე კომისიის მიერ (ესე იგი იმ კომისიის მიერ, რომელიც შემდგარი იყო შაუმოვის თევზის გასაშინჯად) თევზი სალამბეგოვის საწყობშიაც, საცა გაგზავნილ იქმნა პირველად სასანიტარო ნაწილის მკურნალი გონიევი და საცა თევზი არ იქმნა გაშინჯული **). მაგრამ ბ-ნმა სიტოვსკიმ აღარ მოუცადა კამისიას და მოიწვია მკურნალი რუდკოვსკი, რომელმაც გასინჯა სალამბეგოვის თევზი და სთქვა, რომ კარგი თევზია, არ არის გაფუჭებული (доброкачественная). მთლად 200 ბოჭკა გახსნა ბ-ნმა რუდკოვსკიმ, თუ მხოლოდ რამდენიმე, ეგ ჩვენ არ ვიცით. ეჭვი არ არის, რომ თუ ავტორი მოინდომებდა ჩაჰკვირვებოდა ყოველ ამ წვლილს საქმისასა, აღარ დაჰღვრიდა „მწარე“ ცრემლებს ქალაქ ქუთაისისა, გორისა, თელავისა და სიღნაღის მცხოვრებთა სიცოცხლის დასაფარავად, რადგან სწორედ ამ ქალაქებისათვის იყო დანიშნული ის თევზი, რომლის ვარგისობა და რიგიანობა დაამყარა მკურნალმა რუდკოვსკიმ; აღარ მოჰყვებოდა თეატრალურად ღაღადებას და აღარ შეეკითხებოდა მკითხველებს — „ეს რა ქვეყანაში ვსცხოვრობთ, ეს რა კაცების ხელში ჩავცვივნულვართო და სხვ.“, აღარ მოეკიდებოდა ისე სუბუქად საპატიო როლს გამკითხველისასა, არამედ გულ დასმით ჩაუფიქრდებოდა იმ ბრალდებათა, რომელთა დაწამებაც განიზრახა ამა თუ იმ პიროვნების შესახებ.

[13]) გვწამს, რომ არსებობს ამისთანა „სასანიტარო-სამკურნალოს ინსტიტუტის მიერ შემუშავებული წესი და რიგი“. ხოლო ეს გვაკვირვებს,—ნუ თუ ეს „წესი და რიგი“ იმ პირობით არის დადგენილი, რომ როცა უნდა ბ-ნს სტეფანოვს, ამ „წესსა და რიგს“ ნება აქვს ხელი ჩასჭიდოს და როცა არა, უკუაგდოს. თუ ესე არ არის, ერთი ამისი პასუხი გვიბძანოს: რაკი ამისთანა შემთხვევაში მკურნალთა კომისიაა საჭირო, ბ-ნი გონიევი მარტოკა რად წავიდა საეჭვო თევზების გასასინჯავად? წევრმა გამგეობისამ თავ. არღუთინსკიმ რად დაავალა მარტო ბ-ნ გონიევს, წადი და გასინჯეო? ნუ თუ ეს „სასანიტარო სამკურნალოს ინსტიტუტის წეს-რიგი“ არც ბ-ნმა გონიევმა იცოდა და არც გამგეობის წევრმა? რად ეძინა ამ „წესსა და რიგსა“ ამ ხანებში თქვენის და ქალაქის გამგეობის აკვანში? ეს ერთი. ახლა მეორე: ვთქვათ, ეს ანბანი თავიანთ თანამდებობისანი არ იცოდნენ არც სასანიტარო-სამკურნალოს მკურნალმა გონიევმა, არც გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკიმ, სასანიტარო-სამკურნალოს უფროსს მოხელეს ბ-ნს სტეფანოვს ხომ უნდა მაინც სცოდნოდა. თუ იცოდა და ასეთი გულ მოდგინე აღმასრულებელი ყოფილა ხსენებულ „წესრიგისა“, მარტომ რად იკადრა წასვლა შაუმოვის თევზის გასასინჯავად თვით ბ-მა სტეფანოვმა, მარტო უკვე რად გასინჯა და თავისი განაჩენი რად გამოუცხადა ჯერ ბოქაულის თანაშემწეს და მერე აუწყა ქალაქის მოურავსაც. ხსენებულ „წეს-რიგისაგან“ დავალებული მკურნალთა კომისია“ რად დაივიწყებია ბ-ნ სტეფანოვს მაშინ, როცა მისი აღსრულება ასე დავალებული იყო და მარტო მაშინ მოაგონდა, როცა ორგზით დარღვეულ იქმნა ჯერ ბ-ნ გონიევისა და თავ. არღუთინსკისაგან და მერე თვით სტეფანოვისაგანაც.

„მე ვთხოვე ქალაქის მოურავს მოეხდინა განკარგულება კამისიის შესადგენად და სალამბეგოვის ბოჭკების გასაშინჯადაო,“ ბრძანებს ბ-ნი სტეფანოვი. ეს მტკნარი და უეჭველი ტყუილია. მარტო ქალაქის მოურავმა თავისით, ყოვლად უთქვენოდ, საჭიროდ დაინახა სალამბეგოვის თევზის გასინჯვაცა კამისიის მიერ და თქვენ მხოლოდ შაუმოვის თევზის გასასინჯვად ითხოვეთ კამისია და ისიც როდის? როცა თქვენ მიერ მოწონებულმა თევზმა შაუმოვისამ და დოქტორ რუდკოვსკისაგან აყროლებულად ცნობილმა იძულებულ ჰყო ბოქაულის თანაშემწე სიტოვსკი ეთქვა თქვენთვის, რომ, რაკი რუდკოვსკისაგან წამხდარად ცნობილი თევზი შაუმოვისა თქვენ კარგ თევზად იცანით, მე კამისიას მოვითხოვ და ხელახლად გადავასინჯვინებო. სხვა რა უნდა დაგრჩენოდათ ყოველ ამის შემდეგ, რომ თქვენც კომისია არ მოგეთხოვნათ, რაკი ბ-ნი სიტოვსკი უთქვენოდაც კამისიას მოიწვევდა. ყოველს აქა თქმულს ჩვენ ვამტკიცებთ, ბ-ნო სტეფანოვო, თქვენისავე რაპორტით, რომლითაც მიჰმართეთ ამ საქმის გამო ქალაქის მოურავს. თუ ესე არ არის, ვთხოვთ ბ-ნს სტეფანოვს გამოაცხადოს სიტყვა-სიტყვით და უკლებლივ ხსენებული თავისი რაპორტი 12 ოქტომბრისა 1894 წ. და ქალაქის მოურავის მიწერილობა ბ-ნ პოლიცმეისტერთან იმავეს 12 ოქტომბერს № 4695. ჩვენში ვინ სტყუის და ვინ არა, ეგ ქაღალდები გამოაჩენს და მაშინ დავინახავთ ჩვენში ვის აქვს „აზრი აჩემებული“.

**) ამ ქაღალდის გადაკითხვა და გაცნობა, როგორცა სჩანს, არ მოუნდომნია ავტორს, არ მოუნდომნია, იმიტომ რომ იგი ქაღალდი არ შეესაბამება იმის „აჩემებულს აზრს“.

აღარ დავასკვნი იმას, რის დასკვნაც შეიძლება კიდევ ყოველ იმიდან, რაც უკვე ზემორე მოვიხსენე, მივანდობ ამას მკითხველს და შეუდგები ახლა შაუმოვის თევზის ამბავს, რომელშიაც მკურნალ გონიევს აღარავითარი მონაწილეობა არა ჰქონია. შაუმოვის თევზის ამბავი, როგორც ვიცით, დიდხანს იყო საგნად საგაზეთო ბჭობა-ლაპარაკისა და ახლა, სამის წლის შემდეგ, კვლავ ამოტივტივდა წარსულთა დროთა მორევიდგან და ავტორის ვერსიით სრულიად სხვა ფერით ილებება და სხვა ნართაული ხასიათი ეძლევა. „ივერიის“ წერილის ავტორი მთლად ამ ამბავში ჰპოვებს ახლა მალვა-ჩქმალვასა და ბოროტების ხელის-დაფარებას. დავიწყებ მით, რომ „შაუმოვის ამბავიც“ იმ სახით, როგორც იგი იმას აქვს მოთხრობილი, ბევრგვარად არის დამახინჯებული, ფაქტიკურის შეცდომებით არის სავსე, ხოლო დასკვნანი ავტორისა იმდენად წინაღმდეგია ლოღიკისა, რომ ღირსიც არ არის პასუხის გაცემისა. ხოლო რომ არ დამაბრალოს ვინმე, ლიტონის სიტყვით უნდა დაამტკიცოს სიმართლეო, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ჭეშმარიტების გამოსარკვევად ეს ამბავი გიამბოთ ყოვლადის დაწვრილებითა.

10 ოქტომბერს 1894 წელსა მე 5 უბნის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი სიტოვსკი მოვიდა პირდაპირ ჩემთან და მთხოვა გავშინჯოთ ერთად ვაჭარის შაუმოვის საწყობი, საცა 66 პატარა ბოჭკა ვნახე საეჭვო ღირსების თევზითაო. წაველ [14]) მეც საწ-

[14]) რად წახველით, თუ ამისთანა შემთხვევაში (ხუმრობაა 66 ბოჭკა საეჭვო თევზი!) „სასანიტარო-სამკურნალოს ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ წეს-რიგის ძალით“ მკურნალთა კომისიამ უნდა გასინჯოს? რად დაარღვიეთ იგი კანონი და წესრიგი, რომელიც ეგრე გულმოდგინედ უმოძღვრეთ ბ-ნს გონიევს და რომელსაც ბ-ნ გონიევის გასამართლებლად ეგრე მაგრა დაებღაუჭეთ?კანონი ხომ ჭურჭელი არ არის და სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი მეჭურჭლე, რომ ყური საიდაც უნდა, იქით გამოაბას. ეჰ, ბ-ნო სტეფანოვო, საქმე ცარიელი სიტყვა ხომ არ არის, სიტყვას თავისი ლოღიკური შნოც უნდა ჰქონდეს. სხვას უქადაგებთ კანონს და თქვენ-კი აინუნშიაც არ

---

*) იხ. „ივერია“ № 137.

ყოზში და იქ შევიტყე, რომ სულ რამდენიმე საათია მას უკან, რაც ეს თევზი გასინჯა მკურნალმა რუდკოვსკიმ და იმანა სთქვა, უვარგისია და გადასაყრელიო. მე გავკვირდი და ვსთქვი, ვერ გამიგია, რადა საჭირო იყო მეც გამესინჯა თევზი, როცა უკვე გაუსინჯავს ექიმს რუდკოვსკისა, უცვნია უვარგისად და გადასაყრელადა მეთქი, მაგრამ როცა წავიკითხე ოქმი, შედგენილი მკურნალის რუდკოვსკისა და ბ-ნ სიტოვსკის მიერ და როცა ამ ოქმში ამოვიკითხე, „გაშინჯულ იქმნა რა 66 პატარა ბოჭკა, სავსეები თევზითა“, მკურნალმა რუდკოვსკიმ სცნო, რომ, „არამც თუ უვარგისია ეს თევზი საჭმელად, არამედ პირდაპირ მავნებელია მჭამელთა ჯან-მრთელობისათვის და ამიტომ სულ უნდა გადაიყაროსო“. ჩაველ სარდაფში და ვნახე, რომ 66 ბოჭკაში მხოლოდ სამი იყო გახსნილი და მხოლოდ ამ სამის ბოჭკის გასინჯვის მიხედვით იყო შედგენილი ოქმი იმის შესახებ, რომ მთლად ეს თევზი არ ვარგაო, ესე იგი ყველა 66 ბოჭკა გადასაყრელიაო. ამაზედ მე გამოვაცხადე, რომ ასეთი გასინჯვა არ შეიძლიან კანონიერ გასინჯვად დავსახო-მეთქი იმიტომ, რომ შეუძლებელია კაცმა გადაწყვეტითა სთქვას, ვარგა თუ არა მთლად სანოვაგე, როცა გასინჯულია მხოლოდ მცირეოდენი მისი ნაწილი. [15])

მოგდით იგივე კანონი და აწრიპინებთ კალამს, იქნება გავასაღოვო. ქალაქის საბჭო, რასაკვირველია, ტაშს დაგიკრავთ და ჩვენკი შორსა ვართ, რომ თქვენდა სასიამოვნოდ ვიძახოთ: მუხას ვაშლი ასხიაო.

[15]) მართლა რომ ვერაფერი სამართალია,—აქაო 66 ბოჭკებ შორის მარტო სამი ბოჭკა წამხდარი თევზი აღმოჩნდა და სულ უნდა გადიყაროსო. ხოლო, ბ-ნო სტეფანოვო, თქვენ ეს-კი არა გბრალდებათ, რატომ 66 ბოჭკა გადასაყრელად არ იცანითო, არამედ ისა, რომ თქვენ გასინჯეთ ხუთი ბოჭკა თევზი: სამი უკვე რუდკოვსკისაგან გასინჯული და მის მიერ თევზი აყროლებულად და მავნებლად ცნობილი და ორი თქვენ თვითონ ახლად გაგეხსნათ. ამ ხუთს ბოჭკაში მარტო ერთში იცანით წამხდარი თევზი, ისიც მთელი ბოჭკა თევზი-კი არა, რამდენიმე ცალკე ცალი თევზი და დანარჩენს ოთხში-კი კაი თევზი დაგინახავთ.

ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ თქვენის რაპორტის შემდეგ კამისია შესდგა შვიდის მკურნალისაგან, რომელთა შორისაც თქვენც, ბ-ნო სტეფანოვო, ბრძანდებოდით, ბ-ნთ პოლიცმეისტარისა და ლაბარატორიის გამგებელისაგან. ამ კამისიამ გასინჯა იგი ხუთი ბოჭკა, რომელთ შორისაც ოთხში თქვენ მიერ მოწონებული თევზი იყო და ერთში თქვენ მიერ რამდენიმე ცალი თევზი დაწუნებული. რა აღმოჩნდა? ამ ხუთში, ერთში რომელიც უფრო მოდიდო ბოჭკა იყო, თევზი ვარგისი აღმოჩენილა, ისიც ხმის უმეტესობით, ყველანი არა ყოფილან თანახმანი,—დანარჩენს ოთხში-კი „безусловно протухлыми, издающими зловоніе и подлежащими уничтоженію“. თქვენ-კი რა სთქვით ამ ხუთის ბოჭკის გამო თქვენს რაპორტში, რომელიც 12 ოქტომბერს 1894 წ. მიართვით ქალაქის მოურავსა? ხუთში ოთხ ბოჭკაში კარგი თევზი აღმოჩნდაო და მარტო ერთში რამდენიმე ცალი თევზი იყო წამხდარიო. აი სად არის თქვენი, ბ-ნო სტეფანოვო, ქება და დიდება! როგორ მოხდა ეს, რომ რაც რვა კაცისათვის „безусловно протухлыми, издающими зловоніе“ იყო, ის თქვენთვის არამც თუ протухлыми და издающими зловоніе არ აღმოჩნდა, არამედ „доброкачественными“, როგორც ამას გვიმტკიცებს ქალაქის

ახლა კი მივხვდი, რად მომმართა მე ბ-მა სიტოვსკიმ. იმან კარგად იცოდა სალამბეგოვის თევზის მაგალითითა, რომ არავითარი კანონი ნებას არ იძლევა გადაჰყარო აუარებელი ნუზლ-სანოვაგე ალალ-ბედობაზედ დაფუძნებულის მოსაზრებით, თუ ჯეროვანად და წესიერად არ იქმნა იგი გასინჯული; ამიტომ არ დასჯერდა ბ ნი სიტოვსკი დოქტორის რუდკოვსკის გასინჯვასა, იმის დასკვნილს აზრსა და მოინდომა ჩემის აზრის შეტყობაცა. შემდეგ, ბ-ნ სიტოვსკის თხოვნით, გავსინჯე ჯერ მკურნალ რუდკოვსკის მიერ გახსნილი 3 ბოჭკა და მერე 2 სხვა ბოჭკაცა. გავსინჯე ეს ხუთი ბოჭკა (მაშასადამე, გაუხსნელ-გაუსინჯველი დარჩა 61 ბოჭკა) და ვუთხარი, რომ ჩემის ფიქრით გადასაყრელია ამათში მხოლოდ ერთის ბოჭკის თევზი, დანარჩენი 4 ბოჭკა-კი გაფუჭებული არ არის-მეთქი.

ამ უთანხმოების გამო და იმიტომ კიდევ, რომ 61 ბოჭკა დარჩა ჯერ კიდევ გაუხსნელ-გაუსინჯველი, ხოლო შესაძლო იყო, რომ გაუსინჯველ ბოჭკებს [16]) შორის აღმოჩენილიყო გამოსადეგი თევზი (რაიცა მართლა ასეც მოჰხდა შემდეგა), გადაწყვეტილ იქმნა, რათა მომავალში რაიმე გაუგებლობა და უსიამოვნება არა იყოსრა, გაისინჯოს ყველა ბოჭკები შაუმოვისა ცალკე კომისიის მიერ და იმან შეამოწმოს, რაც ვარგა ამ თევზში და რაც არ ვარგაო. ასე გავათავეთ საქმე და კომისიის მოლოდინში არავითარი ოქმი იმ დღეს მე არ შემიყენებია. ცხადია, რომ არც ჩემს გასინჯვასა და არც ჩემს იმ დღევანდელს აზრს საბოლოვო გარდაწყვეტის მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან ასეთი საბოლოვო გარდაწყვეტა იმ თევზის თვისების შესახებ კომისიას მიენდო და იმას დაევალა ყოველივე ეს მეორე დღეს 11 ოქტომბერს, ვაუწყე რაპორტით ქალაქის მოურავს. ქალაქის მოურავმა მისწერა 12 ოქტომბერს №-4895-ით ქაღალდი ბ ნ პოლიცმეისტერს, შეატყობინა საქმის გარემოება, 66 ბოჭკაში დ-რმა რუდკოვსკიმ გასინჯა მხოლოდ სამი ბოჭკაო, არა გვგონია, რომ მთავრობის ხელ-ქვეითის მკურ-

მოურავის მიწერილობა პოლიცმეისტერთან 12 ოქტომბრისა № 4695. თქვენს რაპორტზედ დამყარებული. სად იყო ან თქვენი ყნოსვა, ან თქვენი თვალთა-ხედვა, ან თქვენი ცოდნა, ან თქვენი გამოცდილება, რომ დამპალი და აყროლებული თევზიც-კი ვერ გაგირჩევიათ კარგისა და გაუფუჭებელისაგან. განა მართალი არ არის ყოველ ამის შემდეგ ღადაი „ივერიისა“, ეს ვის ხელში ჩავცვივნულვართო! თუ რაც თვალთაგან ბუნებითად მიფარებულია, მაგალითად, განზრახვა ადამიანისა, იმას კარგადა ჰხედავთ, ბ-ნო სტეფანოვო, როგორც წინა სხოლიოებში შევნიშნეთ, აქ თვალით პირდაპირ და ცხადად დასანახავი და ყნოსვით ადვილად ასაღები როგორ გამოგეპარათ? აქ არის ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას აღრჩობს ყოველს თქვენს ლათაიებს.

[16]) რატომ ამისთანავე საზომით არ გაზომეთ ბ-ნ გონიევის საქციელი, როცა იმან თავი იმართლა, იმიტომ არ გავსინჯე სალამბეგოვის თევზი, რომ ვაი თუ კარგი ამოჩენილიყოო. განა შესაძლო არ იყო სალამბეგოვის გაუსინჯველ ბოჭკებ შორის წამხდარი თევზი აღმოჩენილიყო და რად გაუფრთხა ბ-ნი გონიევი გასინჯვასა ამ მიზეზით, როგორც ამტკიცებს თავისს მოხსენებაში ბოქაულის თანაშემწე სიტოვსკი?

ნალის მიერ დასკვნილი აზრი, სულ გადასაყრელია 66-ბოჭკაო, „წესიერი და სამართლიანი იყოსო“ ([17]) და ამიტომ გთხოვთ „შეადგინოთ კომისია მკურნალთა, რათა ხელმეორედ შეამოწმოს ღირსება ყველა 66 ბოჭკა თევზისაო.“ ამ ქაღალდის გამო ბ ნმა პოლიცმეისტერმა 13 ოქტომბერს მოუწოდა მკურნალთა კომისიას.

ამ კომისიამ დაწვრილებით გასინჯა საწყობი შაუმოვისა და აღმოაჩინა, რომ იქ იყო არა 66 ბოჭკა, არამედ 71 ბოჭკა, რომ ამ 71 ბოჭკაში გახსნილი იყო მხოლოდ 5, დანარჩენი ბოჭკები-კი სრულიად გაუხსნელი და ხელ-უხლები იყო, თუმცა მთავრობის ხელ-ქვეითმა მკურნალმა რუდკოვსკიმ-კი გადასწყვიტა, რომ ამ ბოჭკების თევზიც უვარგისია და უნდა გადაიყაროსო. შემდეგ კომისიის ოქმში, რომელიც ხელ-მოწერილია ბ-ნ პოლიცმეისტრისა, შვიდის მკურნალისა და ერთის ქიმიკოსის მიერ, ნათქვამია, რომ, „როცა გავსინჯეთ დანარჩენი 66 ბოჭკა თევზიცა, 9 ბოჭკაში აღმოჩნდა სრულიად გაუფუჭებელი თევზი;“ ამ 9 ბოჭკის გარდა, კომისიამ ერთი ბოჭკა თევზიც კარგის თვისებისად სცნო წინად გასინჯულ 5 ბოჭკას შორის. მაშასადამე, 71 ბოჭკაში, რომლებიც ბბ-ნთ რუდკოვსკისა და სიტოვსკის ოქმით გადასაყრელი იყო, 10 ბოჭკა თევზი სრულიად კარგის თვისებისა აღმოჩნდა შემდეგ ყოვლად წესიერისა და კანონიერის გასინჯვისა [18]) და იმათი გადაყრა შეუძლებელ

[17]) არ ვიცით რად შეჰყვარებია ბ-ნს სტეფანოვს სიტყვის ბანზე აგდება! ვინ გედავებათ რუდკოვსკის მიერ გასინჯვა «წესიერი და სამართლიანი» იყო, თუ არა. ჩვენ გთხოვთ მარტო ეს გვაუწყოთ: თევზი, რომელიც თქვენ „во все неиспорченными“ იცანით და ქალაქის მოურავმა თქვენისავე რაპორტის მიხედვით „доброкачественными“, როგორ მოხდა, რომ რვა კაცმა კამისიისამ სწორედ იგივე თევზი იცნა „безусловно протухлыми и издающими зловоніе“? ამისი პასუხია საჭირო, ამისი და არა ღობე ყორეს მოდება.

[18]) მართალია, 71 ბოჭკაში 10 ბოჭკა კარგი აღმოჩნდა და დანარჩენი 61 ბოჭკა წამხდარი თევზი. თუ ამ 10-ს ბოჭკაზედ ეგრე ლამაზად ჰლაპარაკობს და ეგრე ვრცლად ბ-ნი სტეფანოვი, იმ ხუთის ბოჭკის ამბავს რადა ჰმალავს და მოკლედ სჭრის ასე: „კამისიამ ერთი ბოჭკა თევზიც არგის თვისებისად სცნო წინად გასინჯულ (წაიკითხეთ, ბ-ნ სტეფანოვის მიერ) 5 ბოჭკას შორის“. საქმე ამ ხუთს ბოჭკაშია, ბ-ნო სტეფანოვო, ამ ხუთს ბოჭკაში, რომელთა შორის ოთხში თქვენ კაი თევზი იცანით და ერთში მარტო რამდენიმე ცალი თევზი-კი წამხდარი. რატომ ამ ხუთის ბოჭკის ამბავს-კი ისე ვრცლად არ მოგვითხრობთ, როგორც კამისიამ გამოარკვია? კიდევ ვიტყვით, თქვენი ქება და დიდება სწორედ აქ არის და რად გინებებიათ ამისი ჩაფუჩება? „წინად გასინჯულიო“. ვისგან? თქვენგან, ბ-ნო სტეფანოვო, და ხუთს ბოჭკაში ოთხში თევზი „вовсе неиспорченными“ თქვენგანვე არის ცნობილი და კამისიის მიერ-კი „безусловно протухлыми и издающими зловоніе“. ამას რადა ჰმალავთ, ან თქვენ თითონ აქ რად იმალებით ამ ორ სიტყვაში: «წინად გასინჯულიო», თითქო სხვისაგან იყოს გასინჯული და არა თქვენგან. კიდევ გკითხავთ: როგორ მოხდა, რომ უეჭველად აყროლებული თევზი კარგ თევზად იცანით? გთხოვთ, სიტყვა-სიტყვით გამოაცხადოთ ხსენებულ კამისიის ოქმი, 13 ოქტომბერს შემდგარი. იგი გამოაჩენს თქვენს საქციელს შესახებ იმ ხუთის ბოჭკის თევზისას, რომელსაც აქ თქვენ, ადვილად მისახვედრ მიზეზით, გზას უქცევთ და კალთას ღუმილისას აფარებთ.

საქმედ იქმნა ცნობილი. კომისიის ამ აზრმა დაამყარა სიმტკიცე იმ გარემოებისა, რომ წინანდელი გასინჯვა თევზისა არ იყო წესიერი, რაიცა ზემორე მოვიხსენე. ამ შემთხვევაში 71 ბოჭკათა შორის რიგიანი აღმოჩნდა 10 ბოჭკა, ესე იგი 14%, ხოლო შესაძლო იყო, რომ უფრო მეტი აღმოჩენილიყო კარგის ღირსების თევზი; ეს ხომ არავინ იცოდა წინადვე. ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, რომელი კანონი გვაძლევს ნებას გადავყაროთ სრულიად გამოსადეგი ნუზლ-სანოვაგე ცარიელის მგონიაობით, როცა იგი ნუზლ-სანოვაგე არ გაგვისინჯავს? ეჭვი არა მაქვს, რომ ახლა ყველასთვის ცხადია, სახელდობრ რასა ვთხოულობდი მე და რა წადილიცა მქონდა. მე ვითხოვდი, რომ წესიერადა და კანონიერად უნდა გადაწყდეს საქმე-მეთქი, მე ვამბობდი (და რა მე, როცა კანონიც ამას ამბობს), რომ ნუზლ-სანოვაგე უნდა გადაიყაროს ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა გასინჯულია და მისი უვარგისობა დანახული და რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქმნას დამყარებული ერთი წეს-რიგი. ასეთი წეს რიგი მართლაც დამყარებულ იქმნა: რაც შემდეგ თევზი იქმნა გაშინჯული იმავე შაუმოვისა, მაკედონსკისა, ბაიანდუროვისა, გოზალოვისა და სხვათა, მუდამ გამშინჯველი იყო ხოლმე კომისია მკურნალთა, მასთანავე კომისიამ გახსნიდა და გაშინჯავდა ხოლმე არა რამდენსამე ბოჭკას, არამედ ყველას სათითაოდ და უკლებლივ და, როცა ასე ყველა გაიშინჯებოდა, მაშინ დაასკვნიდა ხოლმე კომისიაც ამა თუ იმ აზრსა.

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ივლისი.

**პარიჟი.** გერცის წერილმა პონამის საქმის კომისიის მიმართ, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ტიმეს“-ში და რომლითაც გერცი ახალს პირობებს უდებს კომისიას მისის მიღების დროს, ბურბანის სასახლის კორიდოსებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ეს ამბავი ძლიერ ცუდია კომისიისათვის, რომელითვისის პრეზიდენტისთურთ უკვე ლონდონში წავიდა.

**პარიჟი.** პალატამ, 518 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 18 სა, შეიწყნარა 7 მილიონის კრედიტი, რომელიც გადადებულ იქმნება გემის შეკეთებისათვის და სადგურ ბიზერტას გასამაგრებლად.

**კანდია.** აჯანყებულთა მოთავეებმა შეატყობინეს ადმირალებს, რომ სარევოლიუციო კრება შევადგინეთო. ადმირალებმა უპასუხეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ოფიციალურად შევიწყნაროდ სარევოლიუციო კრების არსებობაო, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, ძლიერ სასიამოვნოთ დაგვრჩება საქმე ვიქონიოთ ერის წარმომადგენელ კრებასთანაო. ადმირალებმა კრებას ურჩიეს, სრულებით მოსპოთ ყოველ გვარი სომარი მოქმედებაო. ასეთივე რჩევა მისცეს ადმირალებმა ოსმალეთის მთავრობას.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთი არ დაჰყაბულდა იმ საზღვრების დადებაზედ, რომელიც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს. თევფიქ ფაშასა და ელჩებ შორის მოლაპარაკება მოისპო. თევფიქ-ფაშა იმას ამბობს თურმე, რომ მორიგება მაინც მოხდებაო. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ეს ამბავი მისწერეს თვისის სახელმწიფოს კაბინეტებს და ეხლა ამ საქმის გადაწყვეტა იმათ ხელშია.

**კონსტანტინეპოლი.** მინისტრთა კრება, როგორც ამბობენ, დასთანხმდა იმ საზღვარის დადებაზედ, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს. ელჩები ამ გარდაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ ისევ მოლაპარაკებას შეუდგებიან.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში და სენატში წაკითხულ იქმნა დეკრეტები, რომლის ბრძანებით პარლამენტის სესია გათავდა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $206\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100\frac{5}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | $102\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | $102\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 288 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 247 |

## შეცდომის გასწორება

გუშინდელს №-ში 8 ივლისის კონსტანტინეპოლიდგან მოსულს დეპეშაში შეცდომით არის დაბეჭდილი „492 მილიონი კონტრიბუციაო“, უნდა იყოს $4\frac{1}{2}$ მილიონი.

# განცხადებანი

## იყიდება

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Іюля 1897 г.

სტამბა ა. ძარისძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.